თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 23 მარტი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	-ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯომარის მოადგილე
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	-ქ ქუთაისის მერიის ადმინისტარციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ.ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, საკონკურსო კომისიის წევრი.
ცისმარდი მაღლაფერიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : ქ. ქუთაისში პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების, საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო დოკუმენტაციის (ქ. ქუთაისში პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება) პროექტები.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ კოტე რატიანმა.

კომისიის წევრებმა: ნოდარ მიქიაშვილმა, ვასილ მებურიშვილმა და ანდრო მაღლაკელიძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქ. ქუთაისში პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების, საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.
2. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2011 წლის 30 მარტის 15:00 საათამდე პერიოდი.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვოს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე– 3 სართული, ოთახი №323).

4. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი 30 მარტი 2011 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ქ. ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის მიერ 2011 წლის 24 მარტს (საკონკურსო განაცხადი №13 24 03 2011 წ.) ქ. ქუთაისში პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება–შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე

თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 30 მარტი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯომარის მოადგილე.
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	–ქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ცისმარდი მაღლაფერიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი.

სხდომა გაიმართა ქ. ქუთაისის მერიის სხდომათა დარბაზში (მე–4 სართული, ოთახი №401)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : ქ. ქუთაისში პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა.

განხილვა: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ კოტე რატიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტები წარმოადგინეს – ს.ს. კომპანია „დიზაინკომპლექსმა" და იმდ. მეწარმე „გივი თოდაძე"–მ.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტების თანდასწრებით და გამოცხადდა მათ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების ფასები.

ს.ს. კომპანია „დიზაინკომპლექსმა" წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 2478 (ორიათასოთხასსამოცდათვრამეტი) ლარზე.

ინდ. მეწარმე „გივი თოდაძე" წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 3000 (სამიათასი) ლარზე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკვალიფიკაციო შერჩევის, საკონკურსო წინადადებების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციების განხილვის ვადათ განისაზღვრა 2011 წლის 30 მარტის 16:00 საათამდე პერიოდით.

ს.ს კომპანია „დიზაინკომპლექსი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს. კერძოთ, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ

არის მითითებული უნიკალური ნომერი, რომლის მითითების აუცილებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე–6 მუხლის, მე–2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის განცხადების მე–5 მუხლის 5.2–პუნქტის "ა" ქვეპუნქტით.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ –კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა – ანდრო მაღლაკელიძემ, ვასილ მებურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობები და წესი"–ს მე–4 მუხლის მე–7 და მე–8 პუნქტების საფუძველზე საკონკურსო კომისიამ მოახდინა ს.ს კომპანია ,,დიზაინკომლექსი"–ს დისკვალიფიკაცია.
ინდ. მეწარმე ,,გივი თოდაძი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ –კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა – ანდრო მაღლაკელიძემ, ვასილ მებურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: კომისიის გადაწყვეტილებით ინდ. მეწარმე ,,გივი თოდაძე" დაიშვა შეფასებაზე და მოწვეულ იქნა ზეპირ ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად.
ზეპირი ვაჭრობის მსვლელობა, საკონკურსო წინადადების ფასი და ყოველ ჯერზე დაფიქსირებული ფასი ასახულია დანართში, რომელიც ხელმოწერილია კომისიის წევრებისა და კონკურსანტის მიერ (დანართი ოქმს თან ერთვის).
დანართის მიხედვით ზეპირ ვაჭრობაზე ინდ. მეწარმე ,, გივი თოდაძი"–ს მიერ დაფიქსირდა საბოლოო ფასი – 3000 (სამიათასი) ლარი.

კონკურსანტის მიერ საბოლოო ფასის დაფიქსირების შემდეგ განხორციელდა შეფასება.
ინდ. მეწარმე ,, გივი თოდაძე"–მ მიიღო 31,1 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ –კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა – ანდრო მაღლაკელიძემ, ვასილ მებურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქ. ქუთაისში პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე ,,გივი თოდაძე".
2. ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის (ა. მაღლაკელიძე) და არქიტექტურის (ვ. მებურიშვილი) სამსახურებმა გამოყონ სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და

„მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული პირის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე

01-01-21/614
31.03.11

პროექტი

ს.ს კომპანია ,,დიზაინკომპლექსი"–ს დირექტორს
ბატონ ზურაბ გუბელაძეს

ბატონო ზურაბ,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ქ. ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების (კომისიის 30.03.2011 წლის სხდომის ოქმი №2) საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქ. ქუთაისში პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2011 წლის 24 მარტს (საკონკურსო განაცხადი №13) გამოცხადებულ კონკურსში თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ვერ ჩაითვალა მისაღებად (თქვენს მიერ წარმოდგენილ კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული უნიკალური ნომერი, რომლის მითითების აუცილებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე–6 მუხლის, მე–2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის განცხადების მე–5 მუხლის 5.2–პუნქტის "ა" ქვეპუნქტით) და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობები და წესი"–ს მე–4 მუხლის მე–7 და მე–8 პუნქტების საფუძველზე საკონკურსო კომისიამ მოახდინა ს.ს კომპანია ,,დიზაინკომლექსი"–ს დისკვალიფიკაცია.

პატივისცემით,
ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
საკონკურსო კომისიის თავმჯომარე
დავით ანდღულაძე

01-01-21/613
31.03.11

პროექტი

ინდ. მეწარმე ,,გივი თოდაძე"–ს

ბატონო გივი,

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ქ. ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების (კომისიის 30.03.2011 წლის სხდომის ოქმი №2) საფუძველზე გაცნობებთ, რომ თქვენ გამარჯვებული ხართ ქ. ქუთაისში პანთეონის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ (სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge, საკონკურსო განაცხადი №13 24.03.2011 წელი) კონკურსში.

გთხოვთ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად მობრძანდეთ ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურში.

პატივისცემით,
ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

დავით ანდღულაძე

31.III.2011